

<p>საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება</p>	<p>ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მისამართი: 6010, ქ. ბათუმი ნინოშვილის ქ., №35 ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge</p>
<p>საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება</p>	<p>არქეოლოგია</p>
<p>მისანიჭებელი კვალიფიკაცია</p>	<p>არქეოლოგიის დოქტორი</p>
<p>პროგრამის მოცულობა კრედიტებში</p>	<p>პროგრამა მოიცავს 180 კრედიტს. დოქტორანტის სასწავლო კომპონენტი (60 კრედიტი) გულისხმობს სავალდებულო და არჩევით სალექციო კურსებს თუ სემინარს, ხოლო სავალდებულო კვლევითი კომპონენტები(120 კრედიტი) მოიცავს მინიმუმ 2 კოლოკვიუმს (20 კრედიტი თითოეულისათვის) და სადისერტაციო ნაშრომის შესრულებას (80 კრედიტი).</p>
<p>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი</p>	<p>პროგრამის მიზანია კავკასიის, ახლო აღმოსავლეთის, შავ და ხმელთაშუაზღვისპირეთის უძველესი ცივილიზაციების, წინარექრისტიანული და შუასაუკუნეების კულტურების ურთიერთკავშირის, გავლენების, მათი მატერიალური, სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობის, არსისა და ხასიათის დადგენა.</p> <p>დოქტორანტი დაეუფლოს კვლევისა და სწავლების თანამედროვე მეთოდებს, გამოიმუშავდეს კულტურათმორის კომუნიკაციის უნარ-ჩვევები, გამოიყენოს საკვლევ თემასთან დაკავშირებულ ინტერდისციპლინარული მიდგომები და ა.შ.</p> <p>პროგრამის ერთ-ერთი პრიორიტეტი იქნება ისეთი სპეციალისტების ჩამოყალიბება, რომლებიც მზად იქნებიან უცხოელ კოლეგებთან აქტიური თანამშრომლობის გზით საერთაშორისო დონეზე წარმართონ კვლევა-ძიება, საქართველოს საზღვრებს გარეთ გაიტანონ ქართული არქეოლოგიის მიღწევები.</p>
<p>სწავლის შედეგები (ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები)</p>	<p>შუძლია დარშგი, განსაკუთრებით კავკასიის, მახლობელი აღმოსავლეთის, შავი და ხმელთაშუაზღვისპირეთის არქეოლოგიაში დაგროვებული გამოცდილების მაღალკვალიფიციური ცოდნა და მის წინაშე არსებული სპეციფიკური ამოცანების გადაჭრა; ფლობს კვლევის თანამედროვე მეთოდებს, აქვს დაზვერვების, გათხრების დაგეგმვისა და ორგანიზების, აღმოჩენილი მასალების მორ-</p>

	<p>ფოლოგიური, ფუნქციონალური, ტიპოლოგიური კლასიფიკაციის, სისტემატიზაციისა და მათი კომპლექსურად გააზრების უნარი; პროგრამის დასრულების შედეგად მიღებული ცოდნა, კვალიფიკაცია, კომპეტენცია და მეცნიერული კვლევის უნარი დოქტორანტს მისცემს შესაძლებლობას შექმნას მაღალი მეცნიერული დირეზულეების მქონე ნაშრომი თეორიული და პრაქტიკული არქეოლოგიის აქტუალურ პრობლემებზე. შეუძლია ისტორიული პრობლემების იდენტიფიცირება, წყაროების გამოყენების ახალი გზების მოძიება, დაკავშირება და შედარება, კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლების განსაზღვრა, არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე ისტორიული პროცესების ანალიზი, არქეოლოგიური კვლევისას წამოჭრილი პრობლემების სისტემური გაცნობიერება, ანალიზი, მათი გადაჭრის სტრატეგიის დაგეგმვა და სწორი დასკვნის გაკეთება, მიღებული ცოდნის მუდმივად განახლება, გენერირება, ტრანსფორმაცია და მეცნიერების შესაბამისი დარგის ორიგინალური იდეებით გამდიდრება კვლებისა და სწავლების პროცესში.</p>
<p>შეფასების წესი</p>	<p>სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგი სახით:</p> <p>ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი; ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; გ) (C) კარგი - 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა.</p> <p>(FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ კიდევ გავიდეს. (F) ჩაიჭრა - 40 ქულის ან ნაკლების მიღებისას სტუდენტს საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p> <p>სადისერტაციო ნაშრომის დაცვის შეფასების კრიტერიუმები მოცემულია ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულებაში.</p>
<p>საკონტაქტო პირი</p>	<p>პროფ. შოთა მამულაძე ტელ: 595 35 21 20 nenia 1952@yahoo.com</p>